

## სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი № 2

ქ. თბილისი

29.03.2018

სხდომას ესწრებოდნენ:

სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭოს) წევრები:

ნინო ოკრიბელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, მედიცინის ფაკულტეტის ფსიქიატრიისა და სამედიცინო ფსიქოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი (სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარე);

გრიგორ ტატიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიის და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

ნინო დობორჯგინიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი (სააპელაციო საბჭოს მდივანი);

მარინე ჩიტაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ლაშა გოცირიძე - ა(ა)იპ - ეკონომიკური კვლევების ინსტიტუტის დირექტორი; თამარ გამსახურდია - შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის“ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი, პროფესორი;

ზაზა რუხაძე - შპს „ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის“ ვიცე-პრეზიდენტი, სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის დეკანი, პროფესორი;

ირაკლი მჭედლიშვილი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი; დავით კახნიაშვილი - ა(ა)იპ - არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის თავმჯდომარე;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

ლაშა მარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი

ივარა გოგავა - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი;

ი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პროფესიული და მედიცინული სამსახურის  
მდივანი

ლალი შაიშმელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

საგანმანათლებლო პროგრამებს აკრედიტაციის საბჭოს წარმომადგენელი ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი (საბჭოს თავნმჯდომარე).

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წარმომადგენლები:

მანანა რატიანი - საბჭოს თავმჯდომარე;

რევაზ აფხაზავა - საბჭოს წევრი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები.

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი:

თეიმურაზ ქორიძე - უნივერსიტეტის რექტორი

მაია თორდია - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

დავით გუგავა - სამართლის სკოლის დეკანი

პოლიკარპე მონიავა - სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი

ნინო ხოფერია - სადოქტორო პროგრამის განმახორციელებელი პროფესორი

ია დანელია - სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანი

თამარ ტუფინაშვილი - უნივერსიტეტის ხარისხის უზრ. სამსახურის უფროსი

მარინე ნადირიანი - პროფესორ მაია ოშხარელის წარმომადგენელი

შპს თბილისის დამოუკიდებელი საერო გიმნაზია კანდელი:

ქეთევან წულაა - გიმნაზიის დირექტორი

კახა კუკავა - მომჩივანის წარმომადგენელი

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:45 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“<sup>28</sup> მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“<sup>29</sup> მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

6. თემატური

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

- შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივრის განხილვა;
- შპს თბილისის დამოუკიდებელი საერო გიმნაზია კანდელის სააპელაციო საჩივრის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რამე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა წარმოდგენილი სახით ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი.

- შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივრის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარსა და საჩივართან დაკავშირებულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, საქმის მასალები დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით სიტყვა გადაეცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა, სამართლის სკოლის დეკანმა, დავით გუგავამ ისაუბრა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის შესახებ. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 31 იანვრის გადაწყვეტილება ეფუძნებოდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნაში წარმოდგენილ შემდეგ რეკომენდაციებს: 1. პროგრამის მიზნის მიღწევადობის უკეთ უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილი იყო გადახედილიყო ცალკეული სასწავლო კურსების სწავლების მეთოდების გამოყენების პოლიტიკა. 2. სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში უნდა განსაზღვრულიყო უცხო ენათა რაოდენობა ჩამონათვალის სახით, რათა უნივერსიტეტს არ ექმნოდა პრობლემა მიღებული დოქტორანტის იმ ენაზე სწავლის რესურსით უზრუნველყოფის კუთხით, რომელ ენაზეც ლიტერატურაც არ მოიძიებოდა მის საბიბლიოთეკო ბაზაში. ამასთან, უცხო ენის განსაზღვრა ხელს შეუწყობდა პროგრამაზე მიღების გამჭირვალეობასა და დიაომბას. 3. დებულებაში უნდა გაწერილიყო ის პრინციპი, რომლის მიხედვითაც

6. თემუშ-ჭავა

მოხდებოდა სადისერტაციო თემატიკის წინასწარ განსაზღვრა, რომელზეც დოქტორანტობის მსურველ პირს შეეძლებოდა ჩაბარება. 4. უნივერსიტეტს უნდა ჰქონოდა სპეციალური პლაგიატის პროგრამა. 5. აუცილებელი იყო პროგრამის განხორციელებაში სწავლებასა და კვლევის ხელმძღვანელობაში ისეთი პირები ყოფილიყვნენ ჩართულნი, რომლებსაც შესაბამისი აკადემიური გამოცდილება ექნებოდათ, რაც თავის მხრივ განმტკიცებული იქნებოდა შესაბამისი რაოდენობისა და ხარისხის აკადემიური ნაშრომებით კონკრეტული კვლევითი მიმართულებით. 6. აუცილებელი იყო სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი სრულად ყოფილიყო ასოცირებული უნივერსიტეტთან და მისი პირველადი და ძირითადი საქმიანობა ყოფილიყო კვლევა, პროგრამის ხელმძღვანელობა და სხვა.

წარმომადგენელმა ასევე განაცხადა, რომ აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება პირდაპირ გავლენას ახდენდა დაწესებულების კანონიერ ინტერესებზე ზღუდავდა მის ავტონომიურობას. აღსანიშნავი იყო, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს არ ჰქონდა შემუშავებული ე.წ. აკრედიტაციის სახელმძღვანელო, რომლის შესაბამისადაც მოხდებოდა შეფასება. აღნიშნული დასტურდებოდა ცენტრის წერილით და აუდიტის სამსახურის უფროსის წერილით. აუდიტის სამსახურის მიერ გამოგზავნილ წერილში ნათქვამი იყო, რომ ცენტრის თანამშრომლების მხრიდან მოხდა მთელი რიგი დარღვევები (კერძოდ, 180 დღიანი ვადის დარღვევა), რაც უკავშირდებოდა სამართლის სადოქტორო პროგრამის აკრეტიდაციის პროცესს. ყოველივე ზემოთხსენებული კი წარმოადგენდა პირობას, რომ აღნიშნული საჩივარი დაბრუნებოდა აკრედიტაციის საბჭოს და ხელახლა მომხდარიყო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

სხდომაზე დაწესებულების პოზიცია ასევე წარმოადგინა სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელმა, პოლიკარპე მონიავამ, რომელიც პირველ რიგში, დაეთანხმა დეკანის მოსაზრებას აკრედიტაციის საბჭოს 31 იანვრის სხდომის ოქმში არსებული ხარვეზების თაობაზე და განაცხადა, რომ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტში მოცემული იყო ზოგადი დებულებები (შესაბამისი რაოდენობის, შესაბამისი ხარისხის და ა.შ. ნაშრომი), რამაც მისთვის გაუბარი გახადა ის, თუ რამდენი ნაშრომი უნდა დაეწერა, რომ საკუთარი თავისთვის დოქტორანტან მუშაობის უფლება მიეცა. მან აქვე აღნიშნა, რომ თუ საუბარი იყო ნაშრომების რაოდენობაზე, აღნიშნული განსაზღვრული უნდა ყოფილიყო ადმინისტრაციული აქტით და დამყარებული უნდა ყოფილიყო კონკრეტულ დოკუმენტზე, სხვა შემთხვევაში დაუსაბუთებელი იქნებოდა მისი მოთხოვნა აკადემიური პერსონალისთვის. მან ასევე ისაუბრა საკუთარი გამოცდილების შესახებ სისხლის, საგადასახადო, კერძო და კორპორაციულ სამართალში და ხაზი გაუსვა იმას, რომ მისი ამ თანამდებობაზე ყოფნა ფრიად სერიოზული გახლდათ.

წარმომადგენელმა ასევე განიხილა პრაქტიკოსების სასწავლო დაწესებულებებში დასაქმების საკითხი და ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ მისი აკადემიური თუ სამეცნიერო საქმიანობის მთავარი საფუძველი სწორედაც რომ პრაქტიკა იყო და არავის ჰქონდა უფლება დოქტორის ხარისხის მქონე

6. თემაზუსტია

ადამიანისათვის აეკრძალა აკადემიური საქმიანობა. არგუმენტის გასამყარებლად მან მოიყვანა ფაქტი, რომ აკრედიტაციის საბჭოს თავჯდომარეს 1995-2000 წლებში დამთავრებული პქონდა 3 უმაღლესი სასწავლებელი და დასძინა, რომ თუ მას (იგულისხმებოდა საბჭოს თავჯდომარე) უფლება პქონდა, რამდენიმე უნივერსიტეტში ერთად ესწავლა, მაშინ მასაც პქონდა უფლება, როგორც პრაქტიკოსს ლექციები წაეკითხა რამოდენიმე უნივერსიტეტში. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის თქმით, მსგავსი რეგულაციები, რომლებიც რეკომენდაციის სახით იყო წარმოდგენილი, მაგრამ უნივერსიტეტს ავალდებულებდა გაეთვალისწინებინა - უნივერსიტეტის ავტონომიას ზღუდავდა. სწავლის და სწავლების პროცესში ჩარევა, თუ ვის უნდა განეხორციელებინა სწავლება, როგორ უნდა ყოფილიყო განსაზღვრული პლაგიატი და ა.შ. ავტონომიის შეზღუდვას ემსახურებოდა.

აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარემ განცხადა, რომ მის მიმართ გამოთქმული იქნა შენიშვნა იმასთან დაკავშირებით, რომ ის ერთდროულად სწავლობდა რამოდენიმე უნივერსიტეტში. მან აღნიშნა, რომ ის გადიოდა ხანმოკლე კურსს ევროპის ერთ-ერთ უნივერსიტეტში, რომელსაც პქონდა რამოდენიმე სახელწოდება.

სხდომაზე პოზიცია დააფიქსირა მაია ოშხარელის ოფიციალურმა წარმომადგენელმა. მისი განცხადებით, აკრედიტაციის საბჭოს დასკვნაში მოცემული იყო, რომ მაია ოშხარელი გახლდათ პრაქტიკოსი და არა - მეცნიერი. როდესაც მსგავსი რამ იწერებოდა იურიდიული მნიშვნელობის დოკუმენტში, სამართლებრივად უნდა ყოფილიყო დასაბუთებული, თუ რის საფუძველზე ადგენდა მის სტატუსს კონკრეტული ჯგუფი. 2010 წლის 4 მარტს მაია ოშხარელს მიენიჭა სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი, თუნდაც ის, რომ ის გახლდათ პრაქტიკოსიც და მეცნიერიც, ეს უფრო მეტად მატებდა მას ღირსებას და არა - პირიქით, აუფასურებდა მის ნაშრომს. მისი პრაქტიკული საქმიანობის განმავლობაშიც კი მას აკადემიურ სფეროში ძალიან დიდი წლილი პქონდა შეტანილი, მთელი იურისპრუდენცია იყენებდა მის ნაშრომებს. იგი გახლდათ მაღალი დონის, კვალიფიციური სპეციალისტი, მოწვევა პქონდა სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან. პრაქტიკოსობისა და აკადემიური საქმიანობის გამიჯვნა არ შეიძლებოდა ერთმანეთისგან, ხოლო თუ ასეთი დიფერენცირება მაინც მოხდებოდა, მაშინ ჯერ სადისერტაციო საბჭოს ის ჩანაწერი უნდა ყოფილიყო გაუქმებული, რომლითაც მას დოქტორის ხარისხი მიენიჭა. როდესაც ასეთი იურიდიული დოკუმენტი დგებოდა, ჭორაობას არ უნდა დამსგავსებოდა იმის მტკიცება, რომ ის არ არის მეცნიერი და მხოლოდ პრაქტიკოსია, არგუმენტები უნდა ყოფილიყო დამყარებული კონკრეტულ დებულებებსა და სამართლებრივ ნორმებზე. წარმომადგენელის მოსაზრებით, დასკვნაში მოცემული დებულება, რომელიც ეჭვევეშ აყენებდა მაია ოშხარელის სამეცნიერო წოდებას, გაუქმებული უნდა ყოფილიყო.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის, თამარ ტუფინაშვილის განცხადებით, საგანმანათლებლო პროგრამების უწყვეტობისთვის უნივერსიტეტებს ევალებოდა, 180 დღით ადრე წარმოედგინა

6.თბილისი

პროგრამა. მათ მიერ პროგრამა წარმოდგენილი იქნა 7 თვით ადრე და პროგრამას ვადა გადიოდა 2018 წლის 3 იანვარს. პროგრამას დაერღვა უწყვეტობა, რადგან ცენტრმა დაარღვია აღნიშნული ვადა. აღსანიშნავი იყო ისიც, რომ აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე, 31 იანვარს, პროგრამას უკვე ამოწურული ჰქონდა აკრედიტაციის ვადა. აღნიშნული არღვევდა დაწესებულების უფლებებს. მისი მოსაზრებით ვადები რომ არ დარღვეულიყო და სუბიექტური რომ არ ყოფილიყო მიდგომა, გადაწყვეტილება იქნებოდა სხვაგვარი.

წარმომადგენელმა, დავით გუგავამ კიდევ ერთხელ წაიკითხა სადოქტორო პროგრამის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სია და დაინტერესდა, თუ რა ხარვეზები მოუძებნეს აღნიშნულ პერსონალს.

საბჭოს თავჯდომარემ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ საბჭო არ განიხილავდა კონკრეტულ პიროვნებებს და განსახილველი საკითხი შეეხებოდა მხოლოდ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებსა და მათში არსებულ ხარვეზებს.

საბჭოს თავჯდომარემ სიტყვა გადასცა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს თავჯდომარეს, ირაკლი ბურდულს.

ირაკლი ბურდულმა ყურადღება გაამახვილა რამდენიმე დეტალზე: პირველ რიგში, მან აღნიშნა, რომ სააპელაციო საჩივარი საკმაოდ პროფესიონალურად იყო წარმოდგენილი ფორმალური წინაპირობების გათვალისწინებით. იგი ასევე დაეთანხმა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ გარკვეულ მოსაზრებებს და აღნიშნა, რომ მაგ. ავსტრიაში, როდესაც სახელმწიფო ან შესაბამისი ორგანო პროგრამის აკრედიტაციის ვადებს არღვევდა, პროგრამის რეაკრედიტაციაზე გაიცემოდა შესაბამისი ნებართვა. თუმცა, რადგან საქართველოს კანონში არ იყო მსგავსი ჩანაწერი, აკრედიტაციის საბჭოს არ ჰქონდა ნორმა იმის თაობაზე, რომ ვადის დარღვევის შემთხვევაში დაეშვა პროგრამის აკრედიტაცია. მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ აკრედიტაციის საბჭოს არ დაურღვევია ვადები, დროულად მოიწვია საბჭო და ადმინისტრაციული ნორმების დაცვით მიღღო გადაწყვეტილება.

ირაკლი ბურდულმა ასევე განიხილა სააპელაციო საჩივრის ძირითადი ნაწილი, სადაც საუბარი იყო ექსპერტთა დასკვნაზე აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით. მისი მოსაზრებით, პროგრამების მთავარი ჩონჩხი გახლდათ აკადემიური პერსონალი, რომელთაც უნდა წაეკითხათ ლექცია ან/და განეხორციელებინათ პროგრამა. აქვე დასძინა ისიც, რომ არსებული ქართული რეალობიდან გამომდინარე, აკრედიტაციის საბჭო ევროპული სტანდარტების მიხედვით ვერ განიხილავდა აკადემიურ პერსონალს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ბევრი პროგრამა და ფაკულტეტი დაიხურებოდა. თუმცა, როცა საკითხი ეხებოდა სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელობას და განხორციელებას, მით უმეტეს, როდესაც უნივერსიტეტი ანიჭებდა სამართლის დოქტორის ხარისხს და კონკრეტულად არ იყო მითითებული, მაგ. სამოქალაქო სამართლის დოქტორობა, მისი გახორციელება რთული იქნებოდა. მან გაიხსენა ფაქტი, რომ აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე გაუღერდა ჯონი ხეცურიანის საკითხი, რომელზეც შეიძლება მთელი სამოქალაქო სამართლის

ნ. თემუჯ-ჭავა

სადოქტორო პროგრამა ყოფილიყო აგებული და ამით უნივერსიტეტი კონკრეტულ ნიშას მოიპოვებდა სამოქალაქო სამართლის მიმართულებით. მისი მოსაზრებით, როდესაც აკადემიური პერსონალი არ იყო დივერსიფიცირებული, მაშინ უნივერსიტეტი სამივე მიმართულებით (იგულისხმებოდა კერძო, სამოქალაქო თუ სისხლის სამართალი) პროგრამას ვერ განახორციელებდა. სამწუხაროდ, ერთადერთი ფაკულტეტი, რომელსაც აღნიშნული მიმართულებით არ ჰქონდა პრობლემა, გახლდათ თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტი, სადაც აკადემიური პერსონალი დივერსიფიცირებული იყო და მათ ჰქონდათ კომპეტენცია სხვადასხვა მიმართულებით. როდესაც უნივერსიტეტი აიყვანდა დოქტორანტს, მაგ. საკორპორაციო სამართალში, აღნიშნული მიმართულებით ხელმძღვანელი უნდა ჰყოლოდა დაწესებულებას და იგი უნდა ყოფილიყო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და არა - მოწვეული ლექტორი. სადისერტაციო ნაშრომს უნდა ჰყოლოდა მინიმუმ ორი შემფასებელი, სადისერტაციო კომისიაში უნდა ყოფილიყო სამი ადამიანი, რაც გულისხმობდა იმას, რომ პროგრამას აკადემიური პერსონალიდან სჭირდებოდა ისეთი ადამიანები, რომელიც სადოქტორო პროგრამაში ეყოლებოდა თემის დაცვის საკითხში, სხვა შემთხვევაში აკადემიურ ხარისხს ვერ მიანიჭებდა. ამიტომაც დასკვნაშიც იყო საუბარი იმაზე, რომ თუ უნივერსიტეტი გააკეთებდა ერთ მიმართულებაზე კონცენტრაციას, პროგრამის განხორციელება შესაძლებელი გახდებოდა, რადგან ყველა მიმართულებით პროგრამის შექმნის შემთხვევაში, იგი ვალდებული იყო ყველა მიმართულებით ჰყოლოდა აკადემიური პერსონალი.

ირაკლი ბურდულმა ასევე ისაუბრა მაია ოშხარელთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს პროგრამის ხელმძღვანელი არ იმყოფებოდა დაწესებულებაში. სტანდარტის მიხედვით, პროგრამის ხელმძღვანელი მიზანშეწონილი იყო დასწრებოდა ექსპერტთა ჯგუფთან შეხვედრებს. საგულისხმო იყო, რომ აკადემიური პერსონალი, პრაქტიკული გამოცდილების გარდა, უნდა ყოფილიყო მეცნიერიც. ის ფაქტი, რომ მაია ოშხარელი დილიდან საღამომდე სასამართლოში მუშაობდა და ხშირად - შაბათ-კვირასაც იქ ატარებდა, შესაძლოა გამხდარიყო აკადემიურ თუ სამეცნიერო საქმიანობაში მისი ნაკლები ჩართულობის მიზეზი. მან ასევე ხაზი გაუსვა იმ მძიმე რეკომენდაციებს, რომელიც დაეყრდნო აკრედიტაციის ექსპერტების დასკვნას. კიდევ ერთხელ გამახვილდა ყურადღება იმ საკითხზე, რომ საბჭო ეყრდნობოდა ექსპერტების მიერ მიღებულ რეკომენდაციებს და არსებითად განიხილავდა კონკრეტული პროგრამის აკადემიურ პერსონალს, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებისგან განსხვავებით.

ცენტრის წარმომადგენელმა, ლაშა მარგიშვილმა ყურადღება გაამახვილა ვადების დარღვევის საკითხზე და დაადასტურა, რომ შიდა მოკვლევის საფუძველზე და აუდიტის დასკვნის მიხედვით, ნამდვილად იყო დარღვეული 180 დღიანი ვადა, თუმცა ისიც აღნიშნა, რომ აღნიშნულ ფაქტს არ მოუხდენია გავლენა ადმინისტრაციული წარმოების შედეგზე, კერძოდ, საბჭოს გადაწყვეტილებაზე. მისი მოსაზრებით, ვადების დარღვევა პროგრამის შინაარსს და ექსპერტთა მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციებს ვერ შეცვლიდა. მოცემული ვადის დარღვევას

6. თემატიკური

ჰქონდა გარემოება, კერძოდ, ექსპერტთა კორპუსის რეორგანიზაცია გამოცხადდა ზაფხულის თვეში და მიმდინარეობდა ექსპერტთა კორპუსის დაკომპლექტება, თუმცა აღნიშნული ფაქტორი გამამართლებელ მიზეზად ვერ ჩაითვლებოდა. მეორე გარემოება, რაზეც უმაღლესი სასწავლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საჩივარში გახლდათ ის, რომ აკრედიტაციის საბჭოს წევრები არ იცნობდნენ ცენტრში წარმოდგენილ პოზიციას, ექსპერტთა დასკვნას და სხვა მასალებს. აღნიშნული ფაქტი არ დადასტურდა როგორც აუდიტის, ასევე ცენტრის მიერ.

საბჭოს წევრი, გრიგოლ ტატიშვილი დაინტერესდა რამდენიმე საკითხით. პირველი საკითხი ეხებოდა დროის საკითხს, თუ რამდენად ჰქონდა აკადემიურ პერსონალს და სტუდენტებს აღნიშნული პროგრამისთვის საჭირო დროის დათმობის შესაძლებლობა: საბჭოს წევრმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ საუბარი ეხებოდა არა კონკრეტულ ადამიანებსა და მათ კვალიფიკაციას, არამედ მათი დროის დეფიციტს. მისი განცხადებით, მასალების გაცნობის შემდეგ ჩნდებოდა იმის განცდა, რომ სტუდენტები იყვნენ დასაქმებულები და მათ არ ეცალათ პროგრამისთვის. ასევე საყურადღებო იყო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ფინანსური რესურსების საკითხი და კრიმინალისტიკური ლაბორატორიის არსებობის საკითხი.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სტუდენტების უმეტესობა მუშაობდა, თუმცა დაწესებულება და პროგრამა მათ უქმნიდა შესაბამის პირობებს, ასევე ის, რომ დაწესებულებას ჰქონდა ერთ-ერთი ყველაზე კარგად აღჭურვილი კრიმინალისტიკური ლაბორატორია საქართველოში, ხოლო რაც შეეხებოდა ბიუჯეტს, მასში გათვალისწინებული იყო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ყველა ხარჯი. ასევე ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე არ მომხდარა სტანდარტების განხილვა, ექსპერტები იყვნენ მიკერძოებულები და აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარები იცრუა, როდესაც თქვა, რომ წაიკითხა 5 სადოქტორო ნაშრომი.

ირაკლი ბურდულმა განაცხადა, რომ სხდომები წარიმართება იმ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით, რაც ექსპერტებისგან და სააკრედიტაციო ვიზიტის შედეგად იკვეთებოდა. გამომდინარე იქედან, რომ აკრედიტაციის საბჭოს წევრები არ წარმოადგენდნენ აკრედიტაციის ექსპერტებს და არ ეძლეოდათ უნივერსიტეტის მისვლის და გამოკითხვების ჩატარების საშუალება, ისინი ეცნობოდნენ მასალებს და უსმენდნენ ორივე მხარეს. რადგან საბჭო არ გახლდათ კლასიკური სასამართლო ორგანო, წევრებს არ ჰქონდათ არც იმის კომპეტენცია, რომ ყველა ფაქტობრივი გარემოება გამოეკვლიათ, ამიტომ თუ ექსპერტები იტყოდნენ ტყუილს და დაწესებულება არგუმენტირებულ დასკვნას არ მიაწვდიდა, საბჭოს გადაწყვეტილება დაეყრდნობა მათ ხელთ არსებულ მასალებს. რაც შეეხებოდა ნაშრომების წაკითხვას, მან განაცხადა, რომ წაიკითხა 1 ნაშრომი და ამის შესახებ ბოდიში მოიხადა.

საბჭოს თავმჯდომარებ დასვა კითხვა მატერიალურ-ტექნიკურ ბაზებთან დაკავშირებით.

თ. თემოზ ჭავჭავაძე

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ EPSCO-ს ბაზასთან უკვე ჰქონდათ წვდომა და გაითვალისწინეს ის რეკომენდაციები, რომელიც ექსპერტებისგან მიიღეს ვიზიტის დროს.

საბჭოს წევრი, მარინა ჩიტაშვილი, დაინტერესდა ინოვაციური მეთოდების საკითხით, რომელიც დაწესებულების მიერ განმარტებული იყო შემდეგნაირად: დოქტორანტს თვითონ უნდა შეეთავაზებინა ინოვაცია კვლევაში. მან აღნიშნა, რომ კვლევის მეთოდების სწავლება და მასში ინოვაცია გახლდათ სხვადასხვა რამ. ინოვაციის გამოყენება კვლევაში განსხვავებულ შინაარსს ატარებდა. ასევე აღინიშნა ისიც, რომ კვლევის მეთოდების სილაბუსში ლექციების უმეტესობა ეძღვნებოდა სტატისტიკას, რომელიც დამუშავებაზე იყო მიმართული.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელს კომენტარი არ გაუკეთებია.

17:00 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადა შესვენება.  
სხდომა განახლდა 17:20 წუთზე.

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამის შესახებ მიღებული გადაწვეტილების გაზიარების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

- 9 - მომხრე
- 0 - წინააღმდეგი

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისი #65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციების დებულების“<sup>28</sup> მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სააპელაციო საბჭომ გაიზიარა აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება პროგრამის აკრედიტაციის შესახებ.

2. შპს თბილისის დამოუკიდებელი საერო გიმნაზია კანდელის სააპელაციო საჩივრის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

6. ოფთ. ჭ. ჭ. ჭ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარსა და საჩივართან დაკავშირებულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავჯდომარის გადაწყვეტილებით სიტყვა გადაეცა სკოლის წარმომადგენელს. სკოლის წარმომადგენელი დაინტერესდა, რატომ არ მისცა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ სკოლას 2 თვიანი პერიოდი ხარვეზების გამოსაწორებლად.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, მანანა რატიანმა სააპელაციო საბჭოსა და სკოლის წარმომადგენელს განუცხადა, რომ სკოლას დარღვეული პქონდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამივე სტანდარტის თითქმის ყველა პუნქტი. კერძოდ, 19 პუნქტი. დაკმაყოფილებული კი იყო მხოლოდ 9 პუნქტი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრმა, რევაზ აფხაზავამ განაცხადა, რომ 2016 წელს, როდესაც სკოლამ გაიარა ავტორიზაცია, იყო გარკვეული ხარვეზები და სკოლას მიეცა ავტორიზაცია იმ პირობით, რომ სკოლა გამოასწორებდა აღნიშნულ ხარვეზებს და საბჭოს გადაწყვეტილებით სკოლაში დაინიშნებოდა გეგმიური მონიტორინგი. მონიტორინგის შედეგად სკოლაში ხარვეზების გამოსწორების ნაცვლად აღმოჩნდა უფრო მეტი არსებითი ხარვეზი, ვიდრე ავტორიზაციის მიღების პერიოდში.

რევაზ აფხაზავას განმარტებით, სასკოლო სასწავლო გეგმა იყო ძველი და წლები ფანქრით იყო ჩასწორებული, რაც მიუღებელი იყო.

სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა ინახებოდა სასწავლო ნაწილთან, რომელიც სკოლაში არ იმყოფებოდა, ხოლო ზემოაღნიშნული სასკოლო სასწავლო გეგმა იყო სამუშაო.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრმა რევაზ აფხაზავამ განაცხადა, რომ არგუმენტი ბუნდოვანი იყო და სკოლა ვალდებული იყო ვიზიტის დროს წარმოედგინა სასკოლო სასწავლო გეგმა.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ მანანა რატიანმა ასევე აღნიშნა, რომ სკოლისთვის ავტორიზაციის გაუქმების მიზეზი იყო სკოლაში უსაფრთხოების ნორმების დარღვევა. კერძოდ, სკოლაში ექსპერტები ისე შევიდნენ, რომ არავის უკითხია სად მიდიოდნენ, არ იყო კამერები დამონტაჟებული კანონის მოთხოვნის შესაბამისად. ვიზიტის დროს სკოლაში არ იმყოფებოდა ექიმი და არ იყო კაბინეტი ექიმისთვის, აღჭურვილი შესაბამისი ინვენტარით. სასკოლო ლაბორატორიის ინვენტარი უუთებში იყო ჩაღაგებული და გამოყენების კვალი არ ემჩნეოდა. მანანა რატიანის თქმით, სკოლაში მომუშავე 30 პედაგოგიდან, მხოლოდ 11 იყო ჩართული მასწავლებლთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში, რაც ასევე უხეში დარღვევა იყო.

სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ პქონდათ კითხვები, საბჭოს წევრმა დავით კახნიაშვილმა განაცხადა, რომ მას

6. ოქტომბერი

ჰქონდა კითხვა და სკოლის დირექტორს კითხვით მიმართა, რატომ არ მოხდა მასწავლებლების სქემაში ჩართვა.

სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ დაწესებულებას წერილი მიწერილი ჰქონდა მასწავლებლთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისთვის მასწავლებლების სქემაში ჩართვასთან დაკავშირებით.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრმა რევაზ აფხაზავამ აღნიშნა, რომ დაწესებულებას წერილი გაგზავნილი ჰქონდა ავტორიზაციის მიღების პერიოდში, 2016 წლის დეკემბერში, თუმცა მას შემდეგ ერთ წელზე მეტი იყო გასული, რაც საკმარისი დრო იყო მასწავლებლების სქემაში ჩასართავად, თუმცა მასწავლებლები დღევანდელი მდგომარეობით მაინც არ იყვნენ სქემაში ჩართულები.

სააპელაციო საბჭოს წევრმა დავით კახნიაშვილმა სკოლის დირექტორს კითხვით მიმართა, რატომ ვერ წარუდგინა ექსპერტებს სკოლამ ვიზიტის პერიოდში მასწავლებლების პორტფოლიოები. სკოლის დირექტორმა უპასუხა, რომ პორტფოლიოები ჰქონდათ ელექტრონული სახით და ვიზიტის პირველ დღეს ვერ მოხერხდა მათი წარმოდგენა, ხოლო მეორე დღეს ექსპერტებმა უთხრეს, რომ აღარ იყო აღნიშნული დოკუმენტების წარმოდგენის საჭიროება.

სააპელაციო საბჭოს წევრმა დავით კახნიაშვილმა სკოლის დირექტორს მიმართა, რომ პასუხი არასერიოზული იყო და სკოლას უნდა წარმოედგინა მეორე დღეს მასწავლებლთა პორტფოლიოები მათი არსებობის შემთხვევაში.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრმა რევაზ აფხაზავამ სააპელაციო საბჭოს და დაინტერესებულ მხარეს განუმარტა, რომ ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება დაწესებულებისთვის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ სკოლაში მონიტორინგის დროს ხარვეზები აღმოფხვრილი უნდა ყოფილიყო, თუმცა მონიტორინგის ვიზიტისას მდგომარეობა გაუარესებული იყო და აქედან გამომდინარე საბჭომ იმსჯელა და მიიჩნია, რომ დაწესებულებისათვის კიდევ ერთხელ 2 თვიანი გამოსასწორებელი ვადის მიცემა არ იქნებოდა მიზანშეწონილი, რადგან ამ ქმედებას დადებითი შედეგი არ მოჰყვებოდა.

სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ, ნინო ოკრიბელაშვილმა საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ დამატებით კითხვები სკოლის წარმომადგენლებთან, საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს თბილისის დამოუკიდებელი საერო გიმნაზია კანდელის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გაზიარების შესახებ.

6. ოქთონი, ჭავჭავაძე

კენჭისყრის შედეგები:  
მომხრე - 8  
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 26<sup>7</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გაზიარებულ იქნეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 21 დეკემბრის 113 გადაწყვეტილება შპს თბილისის დამოუკიდებელი საერო გიმნაზია კანდელისთვის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდგომ 17:30 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავჯდომარე  
ნინო ოკრიბელაშვილი

6. თბილისის დამოუკიდებელი საერო გიმნაზია  
კანდელისთვის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ

მდივანი  
ნინო დობორჯგინიძე

ნინო დობორჯგინიძე